კვირა, 10 ივნისი 1907 წ.

39

წელიწადი პირველი — № 125

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდ განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ფულის მეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება, ერთის თვით მანძილზე, დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების დასაბრუნებლად სასისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

„ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. 40 კაპ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

21/V-65
1

ნამდვილი კახური ღვინო

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ

ამხანაგობა „ქმობა"

въ ТИФЛИСЪ

Головинскій проспектъ д. [illegible]

Телефонъ № 1036.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—68)

ექიმი
**გ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
**ა. ნ. ღიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ქუთაისში**
ექიმი მაჭიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—26)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—121)

**ღამბაშიძის**
# სანატორიუმი
პატარა-ცემში

ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.

პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ღამბაშიძეს. (25—111—10)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
**ახალი გამოცემა**
წერა-კითხვის საზოგადოებისა

## ფიზიკური გეოგრაფია

ს. იაშვილისა.

სახალხო და საყმაწვილო წიგნი.

სურათებით. ფასი 20 კაპ. (5—6.—5)

**ახალი წიგნი**

წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ისტორიული მონოგრაფია

## „ამბოხება კახეთისა" 1812 წ.

**ა. ფრონელისა.**

ფასი ერთი მანეთი

იქვე იყიდება „მთიულეთი 1804 წ." იმავე ავტორისა. (20—უ.—4)

საჩქაროდ
# იყიდება

ორ-სართულიანი სახლი. აქვე იყიდება ორი „ლინეისკი" ძროხა ხბოთი. ავლაბარი თელავის ქ., № 17. პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე იქვე. (2—3)

# სამკურნალო
**ექიმთა საზოგადოებისა**
ტფილისში
მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების

**მიშეიდ აგაჯანოვი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ა. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ქარცივაძე:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ა. გ. პავლინოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. გიმბონი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ბ. ა. ბეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ა. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—74)

ექიმი
**ე. მაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—72)

# სამკურნალო
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**განჯის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდენკო**—შინ. სნეულ. დროებით წავიდა ქალაქიდან.

**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ხილელი**—კან ვენერ. ყოველდღე. 11—12 ს.

**აზბიკოვი**—ყურ. ყელ. და ცხვირის დროებით წავიდა.

**ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.

**გორბაცევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

**ნეუიმინი**—თვალ. ორშ., სამშ. ოთხ. პარ. შაბ. 11—12 ს.

**ინაევი.** ქალისა, დროებით წავიდა.

**თეთრაძე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—2 ს.

**ზოჟოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.

**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

**ექიმი ქალი იოსელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

**პივარსკი**
**ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—100)

ტფილისის ქალაქის
# გამგეობა

აცხადებს, რომ კვირას, 10 ივნისს, 1907 წ. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები მესამე საარჩევნო უბნისა „ტფილისის სობრანიეს" საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზე.

არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზე; კენჭის ყრა გაგრძელდება ნაშუადღევის 4 საათამდის. იმ პირთ, რომელნიც კანდიდატთა სიაში არიან შეტანილნი და რომელთაც ყუთის დადგმა არა სურთ, უარი უნდა განაცხადონ დილის 11 საათამდის. ამ დროიდან იწყება კენჭის ყრა და შემდეგ ახალ კანდიდატების დასახელება აღარ შეიძლება. 4 საათზე დაიწყება კენჭების თვლა. (2—6.—2)

# დავკარგე

დ. ყვირილის ბუფეტის ზალაში „საფულე", სადაც ფულის მაგიერ იყო სხვა და სხვა ბარათები და საჭირო საბუთები, მაგალითად: პასპორტი, უფასო რკინის გზაზე მიმოსვლის ბილეთი, სხვა და სხვა რეცეფტები და მოწმობები, რაც ჩემთვის მეტად საჭიროა. ვინც იპოვნა, ვთხოვ დამიბრუნოს და ჯილდოდ 15 მანეთს მივცემ. თუ მე არ დამიბრუნებს სხვა და სხვა მოსაზრებით, ვთხოვ გაზ. „ისრის" რედაქციას გადასცეს ან გაუგზავნოს და იქ მიიღებს 15 მანეთს.

ჩემი ადრესი: დ. ყვირილა, **იაზე კოპალიშვილს.** 10—ლ.—3)



# ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: Тифлисъ, Николаевская, № 9. (50—73.—34)

დ. ჭიათურაში
# ჭიდაობა

კვირას, 10 ივნისს, და ორშაბათს, 11 ივნისს, კავკასიის უძლეველის ფალავანის ნესტორ ესებუას თაოსნობით, ჭიათურაში გაიმართება დიდი საინტერესო **ქართული ჭიდაობა.** იჭიდავებს როსტოველი საშინლად ღონიერი რუსის ფალავანი—**ლიტვინოვი ლ. ბუხკიაძესთან.** გამარჯვებულს 25 მანეთი. მეორე: **მ. ხურხული** დაეჭიდება საჩხერელს. **ქ. არჯევანიძეს;** გამარჯვებულს 25 მანეთი. მესამე: ჭიათურელი **ლომიძე** დაეჭიდება ვაშაძეს. გამარჯვებულს 10 მ. მეოთხე: **რევიშვილი**—სურამელს. გამარჯვებულს 10 მ. მეხუთე: ლაბაძე—განჯაშვილს. გამარჯვებულს 5 მან.

(1—124—1) გამგე **ნ ესებუა.**

ტფილისი, 10 ივნისი.

პირველმა სახ. სათათბირომ 72 დღე იცოცხლა, მეორემ—101. ამ ხან-მოკლე სიცოცხლეში პირველმა და მეორე საკანონმდებლო დაწესებულებამ ოთხის კანონის გამოცემა მოასწრეს მხოლოდ, ისიც ისეთებისა, რომლებსაც მთავრობა ითხოვდა საჩქაროდ და რომელნიც შეეხებოდნენ მართლაც გადაუდებელ საქმეებს: დამშეულთა დასახმარებლად კრედიტის გადადებასა და ჯარის ყოველწლიურ ჩვეულებრივს შევსებას. პირველის და მეორის სათათბიროს კომისიებში გაცხარებული მუშაობა იყო და ბევრი ახალი კანონი მზადდებოდა, მაგრამ არც ერთს არ ეღირსა სინათლეზე გამოტანა და განხორციელება. მათგან ბევრი დიდმნიშვნელოვანი იყო და მართლა უქადიდა რუსეთის წესწყობილებას განახლებას, გადემოკრატებას. საკმარისია დავასახელოთ ისეთი პროექტები მაგალითად, როგორიც იყო აგრარული, ადგილობრივ თვითმართველობის, საყოველთაო სავალდებულო სწავლების, ადგილობრივის სასამართლოსი, პიროვნების ხელუხლებლობის, განსაკუთრებულ დაცვის წესების და სხვა და სხვა. სამწუხაროა, რომ არც ერთს არ ეღირსა სათათბიროსაგან მიღება: ნიმუშად მაინც იყო საინტერესო და საგულისხმიერო, როგორ მიეგებებოდა „მეორე პალატა" დემოკრატიულს კანონებს და ეღირსებოდნენ თუ არა ისინი დამტკიცებას. ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, რომ არც ერთს მართლა განმანახლებელს კანონს დამტკიცება არ ეღირსებოდა და ამ გარემოებას დიდი აღმზრდელი და საგიტაციო მნიშვნელობა ექნებოდა ხალხისათვის. მაშინ უმრავლესობაც, შეუგნებელი უმრავლესობაც დაინახავდა, რაშიაცაა საქმე, სადაა „დამარხული ძაღლის თავი". ახლა-კი, ბნელეთში მყოფ რუსის ხალხს კარგად ვერ გაუგია, რა ემართება სახალხო წარმომადგენლობას. პირველის დათხოვნის მიზეზი ასე აუხსნეს: სათათბიროს, კანონის ძალით, ნება არ ჰქონდა პირდაპირ ხალხისთვის მიემართნა, იმან-კი „პროკლამაციით" მიმართა ხალხს აგრარულ საკითხის შესახებ, მაშინ როდესაც სრული შეძლება ჰქონდა კანონმდებლობით განეხორციელებინა თავისი მისწრაფებანი. მეორე სათათბიროს დათხოვნას ასე უხსნიან: სათათბიროს თითონაც არ უნდოდა პოლიტიკურ დანაშაულობათა წინააღმდეგ გალაშქრება და მთავრობასაც ხელს უშლიდა მათთან საბრძოლველად: 55 ბოროტ-მოქმედის გადაყენება მოვთხოვეთ და არ შეიწყნარაო. არც პირველის და არც მეორეს მოტივის ღირსეული დაფასება ხალხს არ შეუძლია; მისთვის დაფარულია ნამდვილი მიზეზი მთავრობისა და სახალხო წარმომადგენლობის შორის მომხდარ კონფლიქტებისა და ბევრად უფრო გასაგები და საგულისხმიერო იქნებოდა მისთვის, როცა ორი მებრძოლი მხარე დაეტაკებოდნენ ერთმანეთს ხალხისთვის ამა თუ იმ საჭირო რეფორმის გამო...

ეს არ მოხდა; პირიქით, მოხდა სრულებით საწინააღმდეგო: როცა პირველიც და მეორე სახელმწიფო სათათბიროც აპირებდნენ საკანონმდებლო მუშაობის დაწყებას, როცა კომისიებში დამზადდა საჭირო და დიდმნიშვნელოვანი რეფორმები, სწორედ მაშინ გამოტყვრა ორივეჯერ მოულოდნელი გარეგანი რამ მიზეზი და სათათბიროებსაც თავი დაუკრეს. რასაკვირველია, დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო იმის გამოსარკვევად, თუ რა იწვევს სახალხო წარმომადგენლობის დევნას, მაგრამ ჯერ მოუმზადებელ და უმეცარ რუსის ხალხისთვის უფრო ნათელი და რეალური ფაქტებია საჭირო, რომ გაიგოს თავის უბედურების ნამდვილი მიზეზი, მის ინტერესების და ღირსების აბუჩად აგდება. მთავრობასაც კარგად ესმის ეს და დიდის მოხერხებით იწვევს ხოლმე კონფლიქტს ისეთს საგანზე და საქმეზე, რომელსაც ხალხისთვის, ხალხის თვალში დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

მაგრამ ასეთს ექსპერიმენტებსაც თავისი მნიშვნელობა აქვს; ორ სათათბიროს ხანმოკლე ცხოვრებაც არ ჩაივლის უშედეგოდ ხალხის გონებაში, ხალხის სულიერს განწყობილებაში. როგორც უნდა წავიდეს რუსეთის უახლოესი ისტორია, ორი სათათბირო, მათი მოღვაწეობა, მათი სულისკვეთება, მათი ბრძოლა ძველის რეჟიმის წინააღმდეგ—დიდი ისტორიული ფაქტორია, რომელიც, დღეს იქნება თუ ხვალ, ნაყოფს გამოიღებს. სათათბიროებმა ვერ გაამართლეს ხალხის იმედები და მოლოდინი, ვერცერთი საყურადღებო კანონი ვერ გამოსცეს, ვერ შეუმსუბუქეს ხალხს მეტად მძიმე ტვირთი, შეიძლება ბევრი შეცდომაც ჩაიდინეს; მაგრამ მაინც მთავარი ბრალი მათ არ დაედება: რუსეთის ისტორიამ, რუსეთის საშინელმა სინამდვილემ ისეთი ნიადაგი დაუმზადა სახალხო წარმომადგენლობას, რომ ამას არც-კი შეეძლო მეტი გაეკეთებინა. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ „ტყუილად მაინც არ ჩაივლის თავ-განწირულთა სულის კვეთება"...

## ახალი საარჩევნო კანონი და კავკასია.

საერთო მნიშვნელობა ახალ საარჩევნო კანონისა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ეხლა ხელთა გვაქვს სრული ტექსტი ამ კანონისა, რომელიც უფრო ნათლად ამტკიცებს ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს შესახებ იმისა, რომ ახალი საარჩევნო კანონი ორის გზით აპირებს ბიუროკრატიისთვის სასურველ სათათბიროს შეკრეფის უზრუნველყოფას. წინანდელი კანონი ცოტად თუ ბევრად უზრუნველჰყოფდა ინტელიგენციისა და მშრომელ ხალხის წარმომადგენლობას, ახალი კანონი კი დიდ უპირატესობას აძლევს მემამულეთა და მსხვილ ბურჟუაზიას და უზრუნველჰყოფს მათ გამარჯვებას. ახალ კანონის ძალით საგუბერნიო საარჩევნო კრებაზე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან 50% მდე იქნება მემამულე და 14% ქალაქების ამომრჩეველნი პირველ ხარისხისა, მაშასადამე სავსებით უზრუნველყოფილია მათი გამარჯვება.

მეორე მხრით: თუ წინანდელ კანონით არა-რუსთაც ჰქონდათ საარჩევნო უფლება და შეეძლოთ პროპორციონალურად გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენელნი, ახალი საარჩევნო კანონი ამ უფლებებს ძირიან-ფესვიანად სცვლის. წინად პოლონეთი 37 დეპუტატს გზავნიდა, ეხლა კი მხოლოდ 14-ს გაგზავნის (აქედან უეჭველად 1 რუსი უნდა იყოს), კავკასია 29 დეპუტატის მაგივრად გაგზავნის 10-ს, აღმოსავლეთი ციმბირი 7-ს თერთმეტის მაგივრად და სხვ. გარდა ამისა იმ ადგილებში, სადაც რუსები უმცირესობას შეადგენენ, შექმნილია ცალკე საარჩევნო კურიები, სადაც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ რუსები. ამ გზით ყველგან უზრუნველყოფილია რუსების წარმომადგენლობა. მაგალითად: ვარშავაში ერთ წარმომადგენელს ირჩევენ მხოლოდ რუსები, ერთს დანარჩენი ერები. ამიერ კავკასიაში რუსები ცალკე ირჩევენ საკუთარ დეპუტატს. ასეთივე უფლება ეძლევათ ლიუბლინისა, სედლეცისა, კოვნოს და ვილნოს გუბერნიებში მცხოვრებ ერთი მუჭა რუსებს.

ამ რიგად, ერთის მხრით მხოლოდ რუსების საარჩევნო უფლებების გაფართოვება და არა რუსების უფლებათა შეზღუდვა, და მეორეს მხრით—უზრუნველყოფა მემამულეთა და ვაჭართა და სრული გაბათილება მშრომელ ხალხის უფლებისა—თითქმის უზრუნველჰყოფს მესამე სათათბიროს ყურმოჭრილობასა და „პატრიოტობას".

მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა ახალი საარჩევნო კანონი განსაკუთრებით კავკასიისთვის შემუშავებული. ეს კანონიც საერთოდ ზემოხსენებულ პრინციპებზეა დამყარებული, მაგრამ თავისი საკუთარი ელფერიცა აქვს.

მთელი კავკასია გაყოფილია 6 საარჩევნო ოლქად: 1. ყუბანისა და თერგის ოლქები და ჩერნომორის გუბერნია; 2. ტფილისის გუბერნია; 3. ქუთაისის გუბერნია; 4. დაღესტნისა და ზაქათლის ოლქეი; 5. ბაქოსი, განჯისა და ერევნის გუბერნიები და 6. ყარსისა, ბათუმის და სოხუმის ოლქები. მთელი კავკასია ირჩევს 10 დეპუტატს, რომელნიც ასე განაწილდებიან: ყუბანისა და თერ-

გის ოლქების ყაზახები ირჩევენ 2 დეპუტატს, ამავე ოლქების დანარჩენი ერები და ჩერნომორის გუბერნია — 1, ტფილისის გუბერნია — 1, ქუთაისისა — 1, განჯისა, ბაქოსი და ერევნისა — 2, ყარსისა, ბათუმისა და სოხუმის ოლქები — 1, დაღესტანი და ზაქათალის ოლქი — 1, ამიერ-კავკასიის რუსები — 1. მიზანი ასეთ განაწილებისა ცხადია: უზრუნველყოფა და გადაჭარბება რუსების უფლებებისა და შეზღუდვა არა რუსთა უფლებებისა. 10 დეპუტატიდან 4 უეჭველად რუსი იქნება, 2 ქართველი, 1 სომეხი, 1 თათარი, 1 ლეკი და 1 — საეჭვო (ყარსისა, ბათუმისა და სოხუმის ოლქებიდან). ამიერ-კავკასიაში 2 მილიონზე მეტ თათარს ერთი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს და ერთი მუჭა რუსსაც ერთი.

მეორე მხრით უზრუნველყოფა მემამულეებისა და ვაჭრების გამოიხატება ამომრჩეველთა განაწილებაში. მაგალითად: ტფილისის გუბერნია ირჩევს სულ 55 ამომრჩეველს; აქედან 29 ეკუთვნის მემამულეთ, 14 ქალაქებს და მხოლოდ 12 სოფლის ყრილობებს. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქალაქების ამომრჩეველთა ერთ ნაწილს ირჩევენ მსხვილი მესაკუთრენი და მათი ამომრჩეველნი რომ მემამულეთა ამომრჩევლებს მივუმატებთ, ცხადი იქნება, რომ მსხვილ მესაკუთრეთა გამარჯვება წინდაწინვე უზრუნველყოფილია. ესევე სხვაგანაც: ქუთაისის გუბერნია ირჩევს სულ 38 ამომრჩეველს, აქედან 22 ეკუთვნის მემამულეთ; განჯის გუბერნიაში საერთო რიცხვი ამომრჩევლებისა უდრის 36, აქედან მემამულეთ ეკუთვნის 22.

ამ რიგად, ახალი საარჩევნო კანონი არა თუ არა სპობს წინანდელ კურიალურ პრინციპს, რომელსაც საზოგადოდ აზრით ყველა საარჩევნო სისტემათა შორის პირველი ადგილი უჭირავს თავის უპრინციპობითა და რეაქციონურ ელფერით, არამედ უფრო აფართოვებს, აღრმავებს მას და წინასწარ განზრახვით უკიდურესობამდის ზღუდავს უმრავლესობის სამოქალაქო უფლებებს და ამ შეზღუდვაზე ამყარებს უმცირესობის კლასიურსა და ეროვნულ ბატონობას.

### რედაქტორების დაჯარიმება

ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირეს რედაქტორების დაჯარიმებას. დღე ისე არ გავა, დეპეშამ ამბავი არ მოიტანოს, აქაიდა იქ დააჯარიმეს რედაქტორი. ამა და ამ რედაქტორმა ჯარიმა ვერ გადაიხადა და ციხეში ჩასვესო. რედაქტორებს აჯარიმებენ იმ სავალდებულო დადგენილების შემდეგ, რომელიც ჯერ პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა და მერე თითქმის ყველა გენერალ-გუბერნატორმა გამოსცა და რომლითაც აღკრძალულია მთავრობის ძაგება და ავად ხსენება, ცრუ ხმების გავრცელება და სხვა.

როგორც სააგენტოს დეპეშები გადმოგვცემენ, 7 და 8 ივნისს დააჯარიმეს:

| | | |
|---|---|---|
| გაზეთ „პარუსის“ რედაქტორ-გამომცემელი | . . . . | 3000 მ. |
| „ „სვობოდნაია მისლის“ | . . | 1500 „ |
| „ „სტოლიჩნოე უტროს“ | . | 1000 „ |
| „ „რუსკ. ვედომოსტის“ | . . | 1000 „ |
| „ „ნოვოსტი დნიას“ | . . . | 1000 „ |
| „ „ვეჩეს“ | . . . . . | 1000 „ |
| „ „რუსკ. სლოვოს“ | . . . | 500 „ |
| „ „სიზრან. უტრო“ | . . . | 500 „ |

## ახალი ამბავი

✦ **ხმოსანთა არჩევნები.** დღეს, 10 ივნისისთვის დანიშნულია მესამე საარჩევნო უბანში (მე-8, 9 და 10 საპოლიციო ნაწილები) ხმოსანთა არჩევნები. გუშინ, ნაშუადღევის 2 საათამდე, ბილეთი აღებული ჰქონდა მხოლოდ 120 ამომრჩეველს, სულ-კი ამ ნაწილში 794 ამომრჩეველია. არჩევნები მოხდება მიხეილის ქუჩაზე „ტფ. სობრანიეს“ საზაფხულო სადგომში, დაიწყება დილის 10 საათზე, და გასტანს ნაშუადღევის 4 საათამდე.

✦ **მუშების დაპატიმრება.** ამ დღეებში დააპატიმრეს ადელხანოვის დაკეტილ ქარხნების 30 მუშა. ამათგან 6 გაგზავნეს, ხოლო დანარჩენები საგუბერნიო საპატიმროში ჩასვეს.

✦ **გაზეთის დაკეტვა.** გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, დაიკეტა ტფილისში თათრული გაზეთი „მოლლა ნასრედინი“.

✦ **პოლიტიკური საქმე.** სამშაბათს, 12 ივნისს, გორში გაირჩევა საქმე გიორგი მაჩაბლისა, რომელსაც აბრალებენ 1905 წელს ცხინვალში საერობო დარაჯთა რაზმის იარაღის აყრას და წითელ რაზმის მეთაურობას.

✦ **აგიტაცია პოლიციაში.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ტფილისში ცხოვრება აეკრძალათ გოროდოვოებს პავლე მელაძეს, ივანე გაგიშვილს, კონდრატ ქელიძეს და თომა შამანაევს. ამათ აბრალებენ აგიტატორობას გოროდოვოებს შორის გაფიცვის მოსახდენად.

✦ **შავი ქვის ახალ მადნის აღმოჩენა.** როგორც დეპეშა გადმოგვცემს, მარიუპოლში, მდინარე ჩერტომლიკის მიდამოებში მარგანეცის მადანი აღმოუჩენიათ, უკვე შესდგომიან კვლევა-ძიებას.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო საოლქო სამართალში მისცეს თელავის მცხოვრები ზაქარია უთნელიძე, რომელსაც აბრალებენ თელავის სამაზრო გამგეობის თარჯიმნის მაჭავარიანის მოკვლის განზრახვას. ვიატკის გუბერნიაში სამი წლით იგზავნება ხ. იაკობოვი, აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება: ტყვიავის საზოგადოების მამასახლისს მელაძეს (პოლიციის ცნობებით თანაუგრძნობს პროპაგანდისტებს), ა. კირაკოზოვს და ს. ახუნს. დაიკეტა ამ უკანასკნელის სახაიე და ამას გარდა იგი ხუთი თუმნით დააჯარიმეს.

✦ **წარმოდგენები მამა დავითის გორაზე.** გაზეთები სწერდნენ, რომ არტისტს ჩარკვიანს ნება დაერთო მამა-დავითის გორაზე ამ ზაფხულს წარმოდგენები მართოსო. ბ-ნ ჩარკვიანისათვის ნება დაურთავთ მხოლოდ იმ პირობით, რომ სამი პოლიციელი დაიქირაოს წესიერების დასაცველად. რადგან ეს ძვირად ჯდება, ამიტომ საეჭვოა, რომ საზაფხულოდ იქ წარმოდგენების საქმე მოეწყოს.

✦ **გაზეთების ხელის მომწერთა საყურადღებოდ.** უმაღლეს მთავრობის დადგენილებით, სათოლტო დაწესებულებებიდან დაკეტილ გაზეთების სახელზე გამოგზავნილ ფულს აღარ აძლევენ რედაქტორ-გამომცემლებს და ისევ უკან გზავნიან. როგორც გავიგეთ, ბევრი ფული მოდის თურმე დაკეტილ გაზეთების და მათ შორის „მეგობრის“ სახელზე, მაგრამ გამოტანით ვერავის გამოუტანია.

✦ **კახეთის საზოგადოება.** როგორც ვიცით, „კახეთის მევენახეთა საზოგადოების გამგეობამ და საქმის მომწესრიგებელმა კომისიამ 8 ივნისს დაითხოვა ამავე საზოგადოების სარდაფის მუშები. მათ მაგიერ ჩაიყვანეს სარდაფში ამ დღეებში კახეთიდან ჩამოყვანილი წევრთა შვილები და ნათესავები.

✦ **კანდიდატები ტფ. ქალაქის თავის თანამდებობაზე.** ტფ. ქალაქის თავის თანამდებობაზე კანდიდატებად ასახელებენ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, გამგეობის წევრს ალ. ი. ხატისოვს, ქალაქის თავად ნამყოფს ქ. ა. ვერმიშევს და ხმოსანს თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვს.

✦ **შეღავათის მოსპობა.** ამ ორის დღის წინად კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა აცნობა ტფ. ქალაქის გამგეობას, რომ, უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, საქალაქო სკოლებში სწავლა დასრულებულ ახალგაზრდობას ამიერიდან აღარ ექნება შეღავათი სამხედრო ბეგარის მოხდის დროსაო.

✦ „**ჩერნ. ვესტ.**“ როგორც „ზ“ გადმოგვცემს, ბათუმში უს ხსრობისა გამო დაკეტილა შიო დავიდოვის რუსული გაზეთი „ჩერნ. ვესტნ.“

✦ **მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.** როგორც ამას წინად ვწერდით, ფარმაცევტებმა, შეგირდებმა და მოსამსახურეებმა მეაფთიაქეს ოტენს წარუდგინეს მოთხოვნილებანი 7 ივნისს. ოტენმა მიიღო ყველანი და მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს. შიმონოვსკის აფთიაქშიც ასე მოხდა.

✦ 8 ივნისს, პოლიციის მე-10 ნაწილში გაჩხრიკეს და დააპატიმრეს ლუკა ელბაქიძე. გუშინ, 9 ივნისს, დილით ელბაქიძეს დედა წასულა პოლიციაში შვილის ამბის გასაგებად. გზაზე წამოსწევია დროგი და ზედ თავზე გადასვლია. ცოცხალ-მკვდარი ქალი რკინის გზის ლაზარეთში წაიყვანეს.

✦ გონჩაროვის ქუჩაზე ერთ სახლში 7 ივნისს სახლში რევოლვერით თამაშობდა ორი მოსწავლე გიმნაზიისა და საქალაქო სასწავლებლისა. გიმნაზიელს უცაბედად რევოლვერი გაუვარდა, საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეს მოჰხვდა და იქვე გაათავა.

✦ დღეს, 10 ივნისს, დილის 10 საათისთვის, ტფ. საბჭოს დარბაზში დანიშნულია კრება მაკაროვის მამულის მსყიდველებისა, რომელთაც უნდათ გამოარკვიონ საქმის ვითარება. კრება ნება დართულია.

✦ ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა უქმე დღის გამო 12 ივნისისათვის დაინიშნა.

✦ 9 ივნისს ღამე გუნიბის ქუჩაზე № 30 სახლში კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლეს ბარბალე ჭავჭავაძემ და მარიამ ჭელიძემ. მოწამლულნი გრძნობა დაკარგულნი წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ სააღგილ მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ 6 ივნისს მსჯელობა იქონია სახლის შეძენის შესახებ. საქმე მიენდო ცალკე კომისიას. ბანკის დირექტორად ნამყოფმა თ-დმა ნესტორ ერისთავმა, რომელსაც უმსახურნია 26 წელიწადი, ითხოვა მისცემოდა პენსია, თანახმად დამტკიცებულ წესდებისა. კრებამ თხოვნის შეწყნარება შეუძლებლად სცნო.

✦ ქალაქის საბჭომ უცვლელად მიიღო სამასწავლებელო კომისიის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის სასწავლებლების შესახებ. ხარჯი აღემატება 14500 მანეთს.

✦ ამას წინად დატუსაღებულ ქიათურის სამ მასწავლებლის მითაიშვილის, ნუნუნავას და გომელაურის შესახებ ოლქის სასამართლოს პროკურორს საქმე მოუსპია, რადგან მათ მოქმედებაში არავითარი დანაშაული პროკურატურას არ აღმოუჩენია. მასწავლებელთა საპატიმროდან განთავისუფლებას დღე დღეზე მოელიან.

✦ ქუთაისში უკვე შემოვიდა წრევანდელი პარკი, რომელიც გაიყიდა ფუთი 19 მანეთად. შარშან ახალ ბაზრობაზე ფუთი პარკი იყიდებოდა 12 მანეთად და ბოლოს 14 მანეთად. ჯერ-ჯერობით მყიდველნი თავს იკავებენ.

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისის გენ.-გუბერნატორს განკარგულება გაუცია სამაზრო ადმინისტრაციის სავალდებულოდ, რომ უსაბუთოდ ნურავის დააპატუსაღებთო.

✦ 6 ივნისს დაჭრილი ორპირის ქუჩაზე გოროდოვოი გარდაიცვალა.

✦ 6 ივნისს ბაღდადის გზით ჩამოიყვანეს 5 ტუსაღი, რომელნიც შეუპყრია ვინმე დვალის დასმენით სტრაჟის აფიცერს გ. [illegible].

✦ ქუთაისში სამი შემთხვევა იყო მენინგიტისა [illegible] ... მყოფი გარდაიცვალა.

### ლანჩხუთის ამბავი

ექვს ივნისს ლანჩხუთში საზარელი სროლა იყო. ამ დღეს, საღამოს ოთხ საათზე, ვიღაცებმა ესროლეს ქუჩაში მიმავალ ბოქაულს მიქიაშვილს. ბოქაულთან ახლდნენ სტრაჟნიკები, მაგრამ არც ბოქაული და არც სტრაჟნიკები არ დაჭრილან. ორიოდე წუთის შემდეგ სტრაჟნიკებმა და ყაზახებმა საშინელი სროლა ასტეხეს. შეშინებული ხალხი აქეთ-იქით მირბოდა და იმალებოდა. სროლის დროს მოკვდა შემთხვევით მიმავალი, ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფე, 17—18 წლის ყმაწვილი მაქსიმე კვირკველია. მოკლულის გვამი იქვე ქუჩაში ეგდო. დაიჭრა აგრეთვე რამდენიმე კაცი. თითონ მიქიაშვილი სახლებში დარბოდა, სჩხრეკავდა და აწიოკებდა ხალხს, მაგრამ ვერავინ ვერ აღმოაჩინა. ყველაფრის აწერა შეუძლებელია. ექვსი ივნისი დიდ შიშში გაატარა ხალხმა. ბევრი დუქანი აკლებული აღმოჩნდა.

გათენდა 7 ივნისი. ბოქაულმა ხალხს თავი მოუყარა და გამოუცხადა შემდეგი: ან მომეცით სამი კაცი — 5. ებრალიძე, ნიტიფო ურუშაძე, გიორგი და ზენაიშვილი (თანაც დაუმატა, ეს პირები პირდაპირ ჩემი მსროლელნი არ არიან, მხოლოდ საქმე ამათ გააწყვესო), ან არა და საღამოს რვა საათიდან მთელ სოფელს გავანადგურებ და გადავბუგავო. შემდეგ ჩემ თავსაც მოვიკლავ, რადგან მე თითონ ვგრძნობ, რომ მთავრობის წინააღმდეგ ვმოქმედობ და ხეირს არ დამაყრიანო. დაღონებულმა ხალხმა არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ყველა სასოწარკვეთილებას მიეცა. ბოლოს ხალხმა გაგზავნა სამი დეპეშა: ერთი ტფილისში ნამესტნიკის თანაშემწესთან, მეორე ქუთაისში გუბერნიის გამგესთან და მესამე — მაზრის უფროსთან ოზურგეთში. დეპეშაში მოხსენებული იყო ხალხის გაჭირვება და თანაც სთხოვდნენ ზემოაღნიშნულ პირთ მფარველობას. ვადა ახლოვდებოდა და დეპეშები კი არსად იყო. ბოლოს, როგორც იყო, მაზრის უფროსიდან მოვიდა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „შეაჩერეთ ყველაფერი ჩემს მოსვლამდე“. საღამოს მატარებლით ოზურგეთიდან მოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე და გაეშურა ბოქაულისკენ. შემდეგ ხალხს მოსთხოვა დასახელებულ პირების მოყვანა. ხალხმა ვადა ითხოვა. ჯერ არ თანხმდებოდნენ ვადაზე, მაგრამ

## ფელეტონი

### განთიადზე

დილის რიჟრაჟი წითლად ენთება,
ღამე დღეს ებრძვის და დღე ღამესა,
აგერ საცაა ხომლიც მოკვდება,
ფერი უკრთება სავსე მთვარესა!

დაჰბერა სიომ, დაჰბერა წყნარად,
ხევს ჩაურბინა, ეკვეთა მდელოს,
შემოუარა გაშლილს მინდორსა,
რომ ნამი დაჰკრას და ააცრემლოს!

იღვიძებს მიწა, გალობს ბულბული,
ღუღუნებს ტრედი — ეს უწყინარი,
„დასტკბი ბუნებით“, მესმის ხმა ჩუმი,
აჰა, იმისი წმინდა ლამპარი!

მაგრამ ამაოდ, ყველა მკვდარია...
ფიქრმა წაიღო გული, გონება,
სულ სხვა სურათი, სხვა განთიადი
მე თვალწინ მიდგა და მაგონდება!

ვიცი, რომ ალე დაჰკრავს საათს,
და მიწა წითლად შეიღებება,
ოხ, ვინ უწყს რამდენს განთიადისთვის
ბნელი სამარე წილათა ხვდება!

ბუნებავ ტკბილო, შენ დაიტირე
შენსა მკერდზედა აღზრდილნი გმირნი,
ხალხისთვის მტერთან უსწორ ბრძოლაში
განთიადზედა გულგაგმირულნი!

ი. ევდოშვილი.

### ნ ი ა ვ ი

მიამბე, ცელქო ნიავო,
სამშობლოს კარგი და ავი:
არ გადიყარა ღრუბლები,
არ მნათობს ბედის ვარსკვლავი?

ნუ თუ კვლავ მეფობს მონობა,
კვლავ ცრემლს აფრქვევენ ცხარესა,
თუ ნანას ტკბილად უმღერდი
აყვავებულსა მხარესა?

ნიავო მშობელ ქვეყნისავ,
მიამბე დანაბარია:
რა ყოფაშია, რას ფიქრობს
სწორი და მეგობარია?

„იქ კვლად კვნესა გაისმის
სდუმს თვით მსაჯული ცაშია;
კვლავ მტრის მახვილი სისხლსა ჰღვრის
და ხალხიც გოდებაშია!..“

ა. შანშიაშვილი.

* * *

ირგვლივ ბნელა... მხოლოდ ქარი
მრისხანედ ჰბერს, არ ყუჩდება;
შავს ნისლს ტყის პირს ჩაწოლილსა
შემუსვრასა ემუქრება.

სტირის ჩირგვი... მას ბანს აძლევს
ტყე, მინდორი, მთა და ველი;
ქარი კვლავ ჰბერს და ილევა
ნისლი სულის შემხუთველი!..

ა. შანშიაშვილი.

### ა ღ ს რ უ ლ დ ა!..

IV*)

**დარღვევა ჩვენის საზოგადოებისა.**

გავზომოთ ჩვენი ცხოვრება ჩვენ მიერ არჩეულის მეტრით.

ჩვენა ვსთქვით, რომ როგორც ბიოლოგიურ და ფსიხიურ, ისე სოციალურ ორგანიზმის გადაშენება და სიკვდილი ზევიდან ქვევით იწყება, — იწყება უფრო რთულ და სპეციალურ ორგანოებიდან და ჩამოდის უფრო ზოგად და მარტივ ორგანოებზედ, — იშლება კოორდინაცია ორგანოთა, იშლება დიფერენციაცია და ინტეგრაციის მაგიერ დისსოლიუცია ხდება ორგანოთა, კლებულობს და უწესო მდგომარეობაში ვარდება მთელი სოციალური მასსა.

I. ყველაზე უფრო უმაღლესი, სპეციალური, რთული, ცვალებადი და მგრძნობიარე სოციალური ორგანო, — პოლიტიკური ორგანოა. რა მოუვიდა საქართველოს საზოგადოების ამ უმაღლეს ორგანოს? — განქრა მისი სახსენებელი უკვე საუკუნეზედ მეტია!

მართალია, წინადაც წაგვრთმევია პოლიტიკური თავისუფლება, წინადაც ვყოფილვართ ხოლმე მსხვერპლნი მრავალ ურდოთა შემოსევისა და განადგურებისა, მაგრამ არა ყოფილა მაგალითი ჩვენს ისტორიაში, რომ რომელსამე უცხო ტომის ხალხს ძირიანად აღმოეფხვრას ქართველი ხალხის გულიდან, საქართველოს ტერიტორიაზედ, სურვილი თავისუფლებისა და ეროვნულ დამოუკიდებლობისა. ამისი უმთავრესი მიზეზი ის არის ჩემის ფიქრით, რომ ამ წარმავალ ურდოებს, რომლებიც ქარიშხალივით დაჰქროდნენ ხოლმე თავზედ მთელს წინა აზიასა და ევროპასაც, ვერ შესძლებიათ **მოეწყოთ თავიანთი საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია და მოესპოთ მეთოდიურად ჩვენი საზოგადოებრივობის ყველა ორგანოები.** რაც შეეხება სპარსეთსა და ოსმალეთს, ჯერ ერთი — ვერც მათ მიაღწიეს ამ მიზანს სავსებით საქართველოში, რადგან უმეტეს ნაწილად ჩვენ გამარჯვებულები გამოვდიოდით თავისუფლებისათვის ბრძოლაში და შევირჩინეთ დაახლოვებით ჩვენი ქვეყანა, მეორე — სადაც კი მიუწვდა მტკიცე ხელი, მაგალითად, ოსმალეთის მთავრობას, მან იქ იგივე დღე დაგვაყენა, რაც მეცხრამეტე საუკუნეში დაგვადგა: ცენტრი ჩვენის კულტურისა, აზროვნებისა და ლიტერატურისა — მესხეთი, ტაო-კლარჯეთი, სამცხე-საათაბაგო გაამაჰმადიანეს და წაართვეს მას პოლიტიკური თავისუფლება. საერთოდ კი, ყველა ამ ხალხთა შემოსევა უფრო ჩვენზედ „გარეგნულად“ გამოიხატა, ვიდრე ჩვენ პოლიტიკურ ორგანოთა სრულ მოსპობაში.

მე-18 საუკუნის მიწურულში მეფე ერეკლე მეორეს გაუდგა მთელი თავადაზნაურობა, ესე იგი, პოლიტიკურად რომ ვსთქვათ, მთელი არმია! სომხისა და ქართველ ჯაშუშების წყალობით, რომელნიც რუსის მთავრობის ვერცხლით იყვნენ მოსყიდულნი, აღა-მაჰმად-ხანმა გაანადგურა საქართველო და წავიდა. მაგრამ იმის განადგურებას კი არ მოჰყოლია ჩვენი პოლიტიკური თავისუფლების დაცემა, — იგი შედეგი იყო იმ მრავალ-ფეროვან პირობათა, რომელთაც გამოიწვიეს ჩვენი პოლიტიკური გადაშენება, — უცხო ტომთან ვითომც თავის შეფარება და შემდეგ მეთოდიური მოსპობა ჩვენ პოლიტიკურ ორგანოთა, რაიცა მშვენივრად აღასრულეს თათრულ-პრუსსიულ ყაიდაზედ აღზრდილმა ჯარმა და მოხელეებმა.

მაგრამ სხვისი ვერაგობა ხან და ხან მის სიძლიერეს არ ამტკიცებს. გადაშენების ნიშნები უმთავრესად ჩვენში უნდა ვეძებოთ. ღალატი მეფე ერეკლესადმი სულ-წაწყმედილ რევაზ ანდრონიკაშვილისაგან, რომელმაც მთელი ნახევარი საქართველო ტყეებში გახიზნა მოტყუებით, რომ ერეკლეს ჯარი ველარ შეეკრიბა ხოჯა ალამაჰმად ხანთან საბრძოლველად, ღალატი ვახტანგ ორბელიანისა, რომელიც მეფის სახლში იდგა, სასიძოდ მომზადებული და ისე ჰყიდდა სამშობლოს და ღალატობდა სიმამრს, — ჯაშუშობა, შური, მტრობა პირადის ანგარიშებით, ერთის სიტყვით, ისეთი გახრწნილება, რომ, იმავე მოღალატე ვახტანგის სიტყვით, თავადნი ერთმანეთს ხმას ველარა სცემდნენ და შეხვედრის დროს გაჩუმებულნი იდგნენ, რადგანაც ურთი-ერთის მხრით ჯაშუშობისა ეშინოდათ, — აი რა ახასიათებდა მაშინდელ ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებას.

დადგა რუსის მთავრობის ხანა ქართველთა ჯაშუშობის დახმარებით. ეს მთავრობა შეუდგა მეთოდიურ ორგანიზაციას საქართველოს პოლიტიკურ ორგანოთა მოსპობის საქმეში. მთელი ეს ჯაშუშთა ხროვა — ანდრონიკაშვილები, ამილახვრები, ორბელიანები, ერისთავები — მთავარ მართებლის ციციშვილის ლაქიებად გახდნენ, რომელიც ნაქართველარი რუსი იყო, ნამდვილი აღმოსავლეთის სატრაპი, და როგორც ყოველი მაშინდელი და ეხლანდელი გადაშენებული ქართველი, მტერი საქართველოსი. ველარ მოითმინა დესპოტიზმისაგან წელში გატეხილმა ხალხმა და აჯანყდა მთიულეთი 1804 წელს. აქაც ქართველებმა პირველი „ვ

*) იხ. „ისარი“ № 123.

ბოლოს ცოტა ხნის ვადა მისცეს. ხალხი დაიშალა, მაგრამ არ იცის, რა გზას დაადგეს. **ალექსანდრე.**

**7 ივნისი.**

## „ეშმაკური" მწერლობა

სახელგანთქმულ მწერალს ლევ ტოლსტოის ერთმა მეგობარმა უსაყვედურა, რატომ შენ პირად მტრებსა და ცილის მწამებლებს პასუხს არ აძლევ ხოლმეო. ტოლსტოიმ გაიღიმა და მიუგო: „გატყობ, რომ ეშმაკების ბუნება არ გცოდნია: როცა რომელიმე მათგანს გამოეკიდები, იმდენ ბარტყს დაჰყრის, რომ თვალები აგიჭრელდება და არ იცი, რომელ ერთს სტაცო ვერაგულ კუდში ხელი".

ტოლსტოის მკვეთრი სიტყვები გამახსენდა დღეს, როცა ვიღაც ჩვენებურ „ეშმაკის" მიერ შეთხზული ქუჩური პოემა წავიკითხე, რომელიც პავლე აკობიას წინააღმდეგაა მიმართული. ვიცი, რომ ეს ჩვენებური ეშმაკი თავის მოგვარეებსავით მუდამ ჟამს ეშმაკურის ოინებითაა ფეხმძიმე, ამიტომ პირადად მას არ გამოვეკიდები, რათა ჩვენ ბედკრულსა და ისედაც მრავალნაირ ეშმაკობით აღსავსე დღევანდელ ცხოვრებას თავისი ახლად დაყრილი ვერაგი ბარტყები არ შემატოს. მე მაინტერესებს ჩვენებური ეშმაკი არა როგორც ფსევდონიმის ნიღაბ ქვეშ ამოფარებული პიროვნება, არამედ როგორც ტიპი, ისეთი არსება, რომელიც დღევანდელ ჩვენ ცხოვრების გამრყვნელი მწერლობის განხორციელებული ნიმუშია და ამიტომ ყურადღების ღირსია ჩვენგან, ისეთი უზნეობის ბალღამით სავსე მუწუკია, რომელსაც საჯაროდ აჰკვეთა სჭირია, რათა ხალხმა იმისი მყრალი შინაარსი ნათლად დაინახოს.

პოეტმა ჰენრიხ ჰეინემ მხიმლავ სატირიულ შაირებით მოგვითხრო, თუ როგორ გაიცნო იმან პირველად ბატონი ეშმაკი. ერთ საცეკვაო საღამოზე, ეგრედ წოდებულ „ბალზე", პოეტის ყურადღება შეიპყრო ვიღაც კოპწიად გამოწყობილმა ახალგაზდა ქალმა, რომელიც კარგად მიღებული იყო საზოგადოებისაგან და დიდ აღტაცებას იწვევდა, ცეკვის დროს თავის კანჭების ცქვიტი მოძრაობით და სხეულის ლაზათიანი მიხვრა-მოხვრით ჰხიბლავდა საცეკვაოდ თავ-მოყრილ ხალხს. ჰეინე მიუახლოვდა ამ არა-ჩვეულებრივ ახალგაზდას, თავით ფეხამდის დაათვალიერა იმისი უნაკლულო სხეულის მოყვანილობა და კოპწია სამოსელი და უეცრად აღმოაჩინა თავის მკვეთრ გამჭრიახობის წყალობით ის, რაც სხვებისათვის დამალული იყო. თავით ფეხამდის ანგელოზის მზგავს არსებას მხოლოდ დაბლა საფრაკე შარვლის ტოტიდან გარედ გამოყოფილი ჰქონდა ეშმაკური კუდის წვერი. ამ კუდს მსწრაფლ წაავლო პოეტმა ხელი და მთელი ეშმაკი აღმოაჩინა გაცბებულ მაყურებელთა თვალთა წინაშე.

Ex ungue leonem—ამბობდნენ ძველი რომაელები, ესე იგი მარტო ერთი კლანჭით მთელი ლომი გამოიცნობაო. სწორედ ამგვარად მხოლოდ გარედ გამოყოფილ კუდის პაწია წვერით მთელი ეშმაკის გამოცნობა შეიძლება.

ჩვენებური ეშმაკი თავის უცხოელ სოპწია მამა-მთავრის ტლანქი ბარტყია; იმას იმდენი ნიჭიც არა აქვს, რომ ლექსების ცქვიტი მოძრაობით მოხიბლოს მკითხველი; იგი თავის ზნეობრივ სიტიტვლეს უხეშად აჩენს მაყურებელთა თვალთა წინაშე და მოწინააღმდეგეს მიმართ ურცხვად წაშვერილი აქვს თავისი ტლანქი კუდი ზედ-წარწერით: ვიცი ვინცა ბრძანდები,—ანარქისტ-შანტაჟისტ-ტერორისტების ჯგუფს ეკუთვნიო.

საბრალო გონება და ზნეობა-ტლანქო ეშმაკო! „რა ყვავი ვარდსა ჩაიგდებს, თავი ბულბული ჰგონია". შენც ჩაგიგდია შენის უვიცობის კლანჭებში სიტყვა ანარქიზმი და თავი სატირიკოს-პოეტად მოგაქვს. შენ ვერა ჰგრძნობ, რომ ბრმა სიძულვილით გატაცებული, აშკარა მაბეზღარობას სჩადიხარ. ნუ თუ ამგვარად მომავალ ცენტრალისტურ სახელმწიფოს საიდუმლო აგენტობისათვის ემზადები, შე უბედურო სატირიკოსო? შენ გიტაცებს თანამოაზრეთა სიმრავლე, რომლებიც მხარზე ამხანაგურ-გამარჯვებულად ხელს დაგკრავენ და ნიშნ-მოგებით მოგილოცავენ მოწინააღმდეგეზე გამარჯვებას; შენ არ იცი, რომ ამგვარი გამარჯვება—ზნეობრივ გათახსირებას ჰნიშნავს. შენ არ იცი, რომ ამგვარ ლაჩრულ ნიღაბ-აფარებული მაბეზღრობით სწამლავ ხალხის ცხოვრებას. შენი მკითხველი და თაყვანის ცემით შემყურე ხალხი შენგან ზნე-ჩვეულებას ითვისებს და ჰფიქრობს, რასაკვირველია, რომ ანარქიზმასა და შენი მოწინააღმდეგეს ცილის წამება—ზნეობრივი საქციელია, რადგან ამას სჩადის ბრმა ბედის წყალობით მწერლობაში ხალხის მასწავლებლად გამოსული გვამი.

საბრალო უვიცო! შენ სიტყვებს აშკარად ეტყობა ქუჩური აღზრდა-განათლება და იმ ცრუ-მორწმუნეობის ხელის შეწყობა, რომელიც ქუჩაშია გავრცელებული. შენ სარგებლობ იმით, რომ ზოგიერთმა მძარცველმა სახელად ანარქისტი დაირქვა და ეცდები ბოლოს და ბოლოს ქრისტესაც მძარცველი უწოდო, რადგან ქრისტეს სახელით ბევრჯელ უძარცვიათ ხალხი. შენი იდუმალი წადილია სამარე გაუთხარო იმ დიდებულ მოძღვრებას, რომელიც შენი გონების ვიწრო კალაპოტში ვერ შედის და ამ შენ ვიწროობას დიდებულ მოძღვრებას სწამებ. კრილოვის მამალივით მწერლობის სანაგვეში შენ მხოლოდ სტომაქისთვის ნოყიერ ლუკმებს ეძებს, და თუ მარგალიტს წააწყდი, განზე გადისვრი, რადგან იგი შენი კუჭისთვის გამოუსადეგარი ფიმფანდურაა.

უვიცობა და ზნეობრივი სიჩლუნგე! აი ჩვენი დროის დევიზი და სათაური. ცხოვრების ასპარეზზე ეშმაკები ფარფაშობენ და ხალხის ზნეობას რყვნიან. ისინი კი, რომელთაც ყოველნაირ ეშმაკებთან ზნეობრივი ბრძოლა ჰმართებთ, სდუმან ან აკადემიკოსურ მცნებებს უხალისოდ ჰღეჭენ. პროტესტი, ცხარე პროტესტი გვმართებს ყველას, რათა სიბილწის ეშმაკურ რუებს სათავეში გზა შეუკრათ, ცხოვრების აყროლებას საზღვარი დაუდვათ. ვინც სიბილწეს არ ებრძვის, იმის მომხრეა, ვინც დღეს სდუმს—ჭეშმარიტების მტერია.

**ილია ნაკაშიძე**

## შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.

7 ივნისს.

7 ივნისს კვლავ განახლდა ლაპარაკი საავადმყოფოს შესახებ. კრების თავმჯდომარე ბევრს ეცადა, რომ საავადმყოფოს შესახებ ბაასი არ განახლებულიყო, მაგრამ დაემორჩილა კრების სურვილს და ერთი საათის ვადით მისცა ნება ამ საგანზე ბაასისა.

ექიმი **ჯაფარიძე**. საავადმყოფოს მოსამსახურეებს მძიმე ბრალსა სდებენ; მე ჩემს თავს მოვალედ ვსთვლი კრებას გაუწყო საქმის უტყუარი გარემოება, რომ ბრალი ავხადო არაფერში დამნაშავე მოსამსახურეებს. ავადმყოფთაგან შემოსულ ფულის ერთის ნაწილი, ჩემის ნებართვით, ფერშლებმა არ შემოიტანეს. ეს ნებართვა იმიტომ მივეცი, რომ ერთხანად საბჭო უსახსრობის გამო ნახევარ ჯამაგირს გვაძლევდა. სხვა საავადმყოფოში გარეშე პირთაგან შემოსული ფული დაწესებულების მოსამსახურეთა საკუთრებას შეადგენს, მაგრამ ჩვენ ეს ფული მისათვისებლად-კი არ გვინდოდა, არამედ მისთვის, რომ იგი ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე მოხმარებოდა თვით საავადმყოფოს გაუმჯობესებას, მით უმეტესად ხშირად საბჭო უსაჭიროეს მოთხოვნილებას დაწესებულებისას უფულობის გამო ვერ ასრულებდა საბჭოს მიერ დანიშნულ რევიზიის შემდეგ, უმეტესი ნაწილი ფულისა მე უკვე შევკრიბე. გადავეცი საბჭოს და ამ ჟამად მოსამსახურეებზე ირიცხება—ერთ ფერშალზე—97 მ., მეორეზე—125 მ. და ექიმ კარტაშოვზე—36 მანეთი. ჩემის აზრით, მოსამსახურეთა მოქმედებაში ფულის გაფლანგვის დანახვა უსამართლობაა. მაგრამ დამოკიდებულება საბჭოსა და საავადმყოფოში მოსამსახურეთა შორის ისე გამწვავდა, რომ საბჭო მოსამსახურეებს სდევნის. ამას წინად ერთმა მოსამსახურემ ითხოვა დახმარება ცოლის ავადმყოფობის გამო, მისი თხოვნა არ შეიწყნარა საბჭომ და იმავე დროს პოლიციაში ნამსახურ იმხნელს დახმარება გაუწია.

გ. **ზდანოვიჩი**. რამდენიმე თვეა მას აქეთ, რაც საბჭომ მიიღო ექიმ ლოსაბერიძისაგან დეპეშა, სადაც ნათქვამი იყო: არ არის კვერცხი, რძე, ფული არა გვაქვს, ავადმყოფნი დაიმშენო. მართალი მოგახსენოთ, ეჭვის თვალით შევხედე ამ დეპეშას, რადგან შიმშილი საავადმყოფოში შეუძლებელ საქმედ მიმაჩნდა და პასუხად მივწერე დეპეშა და ის აზრი გამოვთქვი, რომ შიმშილი და სხვა უწესობა გამოწვეულია თვით მოსამსახურეთა უთავდარიგობისაგან მეთქი. ჩემი დეპეშა საავადმყოფოში ყუმბარასავით გასკდა, ასტყდა აურ-ზაური. ჩემი დეპეშა გადამახინჯებულის სახით დაიბეჭდა გაზეთში და, რასაკვირველია, კეთილად არ იხსენიებდნენ ჩემს მოქმედებას. რათა გაგვეგო საქმის ვითარება და იმის მიზეზიც, რა ნაირად დაიმშნენ ავადმყოფნი კვერცხის უქონლობისა გამო, დავნიშნეთ რევიზია, რომელმაც გამოარკვია, რომ სწორედ იმ დროს, როცა დეპეშა იწერებოდა, მოსამსახურეთა ჯიბეებში უნდა ყოფილიყო 800 მანეთზე მეტი, დანამდვილებით-კი არ აღმოჩნდა. ასეთ საქციელს მოსამსახურეებისას მე ვუწოდე გუშინ ფულის გაფლანგვა და დღესაც ვიმეორებ ამას. ექიმი სცდილობს ხელი გადააფაროს მოსამსახურეებს და გვეუბნება, რომ ჩვენ აზრად გვქონდა ფული საავადმყოფოს საჭიროებისათვის დაგვეხარჯაო. თუ ასეთი განცხადება ექიმისა საფუძვლიანია, რატომ არ მოახმარეს იგი საავადმყოფოს, როცა იქ, მათივე სიტყვით, ავადმყოფები დაიმშნენ. არა თუ დამშევის დროს, არც ერთხელ არ მოსვლიათ აზრად, რომ ეს ფული დაწესებულების საჭიროების დასაკმაყოფილებლად დაეხარჯათ, და მას „ფონდის" სახელი მაშინ უწოდეს, როცა რევიზიამ გამოქექა ფული.

ა. **ს წერეთელი**. ჩვენ აქ სამსჯავროს არ წარმოვადგენთ, რომ საბჭო და მოსამსახურეები გავასამართლოთ. ჩვენ წინაშე პასუხის მგებელი საბჭოა და საქმე მასთან გვაქვს.

გ. **ზდანოვიჩი**. ამ საგანზე მე სრულებითაც არ მინდოდა ლაპარაკი, მაგრამ ჩემდაუნებურად გამომიწვიეს მოსამსახურეთა „მეგობრებმა", რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ სამსახურს უწევდნენ მათ.

**ექიმი ჯაფარიძე**. მე ვერ დავასაბუთებ იურიდიულად, გაფლანგვად ჩაითვლება თუ არა მოსამსახურეთა მოქმედება, მაგრამ ეს კი ნამდვილად ვიცი, რომ ბოროტ-მოქმედება არა ყოფილა...

**ინჟენერი ავდეევი**. მე მინდა გავიგო, ზდანოვიჩი საბჭოს სახელით ლაპარაკობს, თუ თავის აზრს გვიზიარებს.

გ. **ზდანოვიჩი**. ვიდრე საბჭოს წევრნი წინააღმდეგს არ იტყვიან, ჩემგან თქმული საბჭოს აზრს წარმოადგენს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ 1 საათი გაიდა და ამ საგანზე ლაპარაკს ვსპობთ.

ლაპარაკის მსურველი ბევრია; განსაკუთრებული მხნედ სიტყვას ითხოვს საბჭოს წევრი ი. ნიჟარაძე. თავმჯდომარე კრებასა სწყვეტს. კრების გახსნისათანავე ი. ნიჟარაძე აცხადებს, რომ იგი საავადმყოფოს მოსამსახურეთა მოქმედებას ფულის გაფლანგვას არ უწოდებს. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას, გადავიდეს სხვა საგანზე. კრებამ მოისმინა მოხსენება საბჭოს თავმჯდომარისა და ექიმ ჯაფარიძისა სანიტარულ საქმის მდგომარეობის შესახებ და ის აზრი დაასკვნა, რომ უნდა განახლდეს სანიტარული კომისიის მოქმედება, მაშინ შესაძლებელი გახდება, რომ სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესდეს ჭიათურაში.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა მოსიარულე ფერშლების მოღვაწეობის შესახებ. გ. ზდანოვიჩის აზრით ფერშლების მოღვაწეობა მაღაროებში ყოვლად უნაყოფო იქნება, თუ მათ ხელმძღვანელად არ ეყოლებათ ექიმი და ამიტომ ზდანოვიჩის აზრით უნდა დაწესდეს თანამდებობა მეორე ექიმისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს საავადმყოფოს გამგეს დაეხმარება და ხელმძღვანელობასაც გაუწევს ფერშლებს. კრებამ მიიღო ეს წინადადება და ამასთან სავალდებულოდ გახადა თავის თავის, რომ დააწესოს რამდენიმე ადგილას ფერშლების მუდმივი პუნქტი აფთიაქით, სადაც შემწეობას აღმოუჩენენ მაღაროებში მომუშავეთ. ცალკე კომისიას მიენდო ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავება და თავის მოსაზრების წარდგენა, როცა ხარჯთ-აღრიცხვას განიხილავს კრება. კომისიაში აირჩიეს: ექიმი ჯაფარიძე, ინჟენერი ავდეევი, საბჭოს წევრი ი. ნიჟარაძე და ბაღიაშვილი.

სტატისტიკის საქმის უკეთ მოწყობის საჭიროება ყველამ აღიარა, ვერც ერთმა კრიტიკანმა ვერ ახსნა, რა გზით შეიძლება საქმის გაუმჯობესება. ბოლოს საქმე იმით გადასწყდა, რომ მუშათა მდგომარეობის აღწერისათვის მოიწვიონ ერთი თანაშემწე სტატისტიკურ ბიუროს გამგისა და 4 მთვლელი (სჩოტჩიკი). საბოლოოდ ამ საქმის გადაწყვეტა გადაიდო 8 ივნისისათვის.

## მუშების ცხოვრება

**„გერმესის" სტამბა**. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, დაიკეტა „გერმესის" სტამბა. ამ სტამბაში რამდენიმე სომხური გაზეთი იბეჭდებოდა და სხვა სამუშაოებიც იყო. მართალია, სტამბა გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა, მაგრამ სტამბის პატრონებმა ეს განკარგულება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და 86 მუშა ულუკმა-პუროდ დასტოვეს. ჯერ სად იყო გენ.-გუბერნატორის განკარგულება, რომ სტამბის ადმინისტრაციამ გამოგვიცხადა, უსახსრობისა გამო 30 მუშა უნდა დავითხოვოთო. როდესაც ეს ამბავი გავიგეთ, ავირჩიეთ ექვსი კაცი, კავშირიდანაც მოვიწვიეთ ორი და ამ კომისიას მივანდეთ მოლაპარაკება პატრონებთან და აგრეთვე იმისი გამორკვევა, თუ რა მდგომარეობაშია სტამბა. კომისიამ გამოარკვია, რომ სტამბა გაჭირვებაში გამგეობის უმოქმედობით ჩავარდა. გამოირკვა აგრეთვე, რომ

---

კაცობა" გამოიჩინეს ქართველთა ჟლეტაში, ქალთა და ბავშვთა გაუპატიურებაში და სვრემაში. ისინი პირველ მონაწილეობას იღებდნენ, ორგანიზატორები იყვნენ ამ საზიზღრობისა. სისხლის ჯვარმაო, ამბობს ა. ფრონელი თავის შესანიშნავ მონოგრაფიაში*), ისეთი თილისმური ძალა მოიპოვა საქართველოში, რომ მთელი მაჰმადიანობა გააკვირვა,—ეს რა თილისმა მოიგონეს რუსებმა, რომ მთელი გურჯისტანი გადაირიესო. ციციშვილს ერთ ექსპედიციაში სპარსელების წინააღმდეგ თან ახლდა თ. იოვანე ორბელიანი, რასაკვირველია, მოღალატე და გამყიდველი ქვეყნისა სისხლის ჯვარში. ციციშვილი ბანღურ ამოკრული იფრინეს წინ სპარსელებმა და უგვანო ქართველი კი ტყვედ წაიყვანეს. პლატონ იოსელიანის სიტყვითაო, ამბობს ა. ფრონელი, „ოდეს ფოთალი შაჰმა ჰნახა ესე იოვანე და იხილა მისსა გულზედ ვარსკვლავი ანნასი, ბოძებული იმპერატორისგან, ჰკვედრა მრავალი, მისწვდა თვით ვარსკვლავსა, მოჰგლიჯა იგი, გარდააგდო და უბრძანა: ამისათვის უღალატე შენს მეფესა და ქვეყანასა?" დიახ, სპარსელი დესპოტი უფრო მაღლა იდგა ზნეობით, ვიდრე ქართველი იოანნე ორბელიანი, რომელსაც ალბად სისხლის ჯვარი მთელ ქვეყანაზედ უფრო ძვირფასად მიაჩნდა ამ გახრწნილობის უბედურ დროს. არ ვიცით, შერცხვა თუ არა ორბელიანს, მაგრამ „უსჯულო სინიდისის" მქონე (ასე უწოდებდა ყველა ამ ვაჟბატონებს დავით ბატონიშვილი) ადამიანს რისა უნდა შერცხვეს! ეს ორბელიანი და ყველა სხვანიც რომ ასეთები იყვნენ,—ეს ცხადია, რადგან არც „რესპუბლიკანური" გრძნობით ღალატობდნენ ისინი საქართველოს „მეფეს", არც საქართველოს „მშვიდობიანობისათვის" და „კეთილდღეობისათვის",—ღალატობდნენ ჯვარ მენდლებისათვის და სხვა არაფერი!

წაიკითხეთ, აგრეთვე, მაგალითად, ის რაპორტები რუსულ ენაზედ, ის რაპორტები, რომელსაც დ. ციციანოვს ვიღაც ერისთავი სწერდა. გარდა იმისა, რომ მაშინდელ ასეთ რაპორტებში ბევრი მოღალატის სახელი და გვარია, ქვეყნის მულეტელთა და ამწიოკებელთა, თვით რუსული ენის ფორმა ნახეთ! აქედან დაიწყო ჩვენი ეროვნული გადაგვარებაც, რომელიც ერთის მხრით იმაშიაც გამოიხატა, რომ ქართული ენის მაგვრად გადამახინჯებულ რუსულ ენის ხმარება დავიწყეთ და ჩვენი გვარები სულ „ოვებზედ" დავაბოლოვეთ, რაიც მგონი არც ერთ თავმოყვარე და თავისუფალ ერს არ უქნია თვისისავე ნებაყოფლობით. „ერისთვის" მაგიერ „ერისტოვი", „ციციშვილის მაგიერ „ციციანოვი"! ყველა სხვა გვარები ასევე შეცვალეს, და ის კი არ იცოდენ, რომ, მაგალითად „ბარატაევს" ან „ბარატოვს" ხმარება ბარათაშვილის მაგვრად ისევე სასაცილო და დამამცირებელია ქართველისათვის, როგორც ინგლისურ გვარის ტომსონის შეცვლა „ტომსონაძეზედ" ან „ტომსონაშვილზედ" ინგლისელისათვის, რომ გადაშენებისა და გადაგვარების მომასწავებელი არ იყოს.

რაპორტის შინაარსს ნულა მკითხავთ. ვისაც „მთიულეთი" წაუკითხავს, ის უსათუოდ წაიკითხავდა ამ რაპორტებსაც. მაინც მოვაგონებთ მკითხველს ერთ ამ რაპორტს, რადგანაც, რა ვიცით, ჰკითხულობს კი გადაშენებული ქართველი თავის საკუთარ ისტორიას? აი შეუდარებელი ნიმუში, ბევრის, ძლიერ ბევრის მაჩვენებელი:

„Петь расъ репортовалъ къ вашему сятелству, два репортъ мтиулски народ которій бунтуитъ они поймали, а три репорти прашли чрезь ксани, а отъ вашего сятелства никакой резечюця неимею, и ожидаю кажди денъ. Мтиульски народъ собиравщій, пришли въ коби около тисячь человекъ, изъ трусо народъ осетинци сединились около сто человекъ, и так же хотелись чтоби хевски народъ къ себе собирать однако нихто не согласились хто суть подь власть Маиора Казибегова, а какъ видали они что хевски народъ не соединились, назадъ ушли но изъ коби брали казоній правянт и железа и свинца, и пополамъ разделились мтиулски народъ, и трусоскій народъ, осмелюсъ доложить вашему сятелству ето дела не пустоя, имѣютъ учителъ, въ имеретій послались человекъ къ царевичамъ и убили нѣсколко казаки и два Арменини, а первой расъ према посланъ я куриелы ани поимали, и взяли образъ светаго Георгя и присягъ приняли чтобь не будемъ російски подданъ говаритъ.

Изъ Лавдикавки писмо получил маиоръ Казибеговъ отъ генерал маіора нестветова что он войсками прибили лавдикавкѣ, и спрашуить объ дороги, за дариела не одной мостъ нетъ; ваши сятелству, ешчо прибавте две рота, не расердите на меня что еще воиска просилъ теперъ Арагвски люди для меня негодица... какъ будить отъ вашего сятелства ордерь, я такъ буду зделать". 2)

აი ნამდვილი ნიმუში მართლაც ყოველ-მხრივი დაცემისა და გადაშენებისა, რადგანაც ეს სამარცხვინო დოკუმენტი ნათლად გვაჩვენებს: 1) ღალატს, 2) ჯაშუშობას, 3) ლაქიობას, 4) სიმხეცეს, 5) გადაგვარებას (ბ. „ყაზიბეგოვისას",) 6) ველურობას, რადგანაც ეს რაპორტი მოგვაგონებს ძველ ამერიკელ ინდიელთა ინგლისურ რაპორტებს, ინგლისისა და ამერიკის აფიცრებს რომ ზეპირ ეუბნებოდნენ ამერიკული ველური ჯაშუშები თავიანთ სამშობლო თემის გამცემელ ამბებს. აბა ერთი მითხარით, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ამ რაპორტის დამწერს ისეთ ტომის ჯართან, რომლის ენა მან ასე სამაგალითოდ იცის, თუ არა ჯაშუშობის და მოღალატობისა! დიაღ, ასე იყო მართლაც და ამ საშინელ აჯანყების დროს, ყველა ქართველთა ბრწყინვალებანი ასეთ როლს თამაშობდნენ!.. 1812 წლის კახეთის აჯანყების „ჩაქრობის" შემდეგ დიმ. ორბელიანისაგან, ამ „ურჯულო სინიდისიანი კაცისაგან", მთელი კახეთის გადაწვის შემდეგ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ამომგდები მარკიზ პაულუჩი რუსეთს გაემგზავრა, მთელი ჩვენი თავად-აზნაურობა ტირილით მისდევდა უკან, შენი ჭირიმე დარჩიო. იქნებ კიდევ სწადდათ უკვე გადამწვარ ქვეყნის გადაბუგვა? თუ რა სიკეთეს გამოელოდნენ მისგან? უცნაურია! .

მაგრამ ეს რა არის! მთელ საქართველოში—იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, ისეთსვე როლს თამაშობდნენ თვით ქართველები ქვეყნის გაყიდვასა და ჟლეტაში! იმავე 1812 წელს ერთმა მუხრან-ბატონმა 70 ქართველი მძინარე დაახჩო,—სისხლის ჯვრისათვის, რასაკვირველია! აი ქართული ვაჟკაცობა! შემდეგ მთელი ასის წლის განმავლობაში სცდილობდნენ მოესპოთ რუსის მთავრობასა და მის ერთგულ ქართველობას ნაშთიც კი ჩვენის პოლიტიკურ ორგანიზაციისა.

ეხლა კი აღარ არსებობს აღარც კანონმდებლობითი ორგანო ჩვენის პოლიტიკურ ორგანიზმისა, აღარც აღმასრულებელი ძალა, აღარც ჯარი, ესე იგი ქართული მილიცია, აღარც ორგანონი ინტერნაციონალურ დამოკიდებულებათა, თუმცა ჩვენ მეფეთა ტრაქტატებით რუსეთის იმპერატორთან ყოველივე ეს უნდა არსებულიყო, მიუხედავად სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მოსპობისა ამავე ტრაქტატებით. ასის წლის განმავლობაში ყოველივე მოისპო. საქართველოს განაგებს ეხლა სულ სხვა საზოგა-

*) «მთიულეთი 1704 წელს», ტფილისი 1896 გვ. 274—275.

2) მთიულეთი 1804 წ. р. р. 120—121. შენიშვნა მე-14.

გაზეთები ამ სტამბაში სხვა სტამბებთან შედარებით ნაკლებ ფასად იბეჭდებოდა. ყველა ამ მიზეზით, კომისიამ შეუძლებლად დაინახა მუშების დათხოვნა. თავისი დადგენილება კომისიამ სტამბის გამგეობას აცნობა, მაგრამ ისინი არ დასთანხმდნენ და განმეორებით გამოაცხადეს, რომ 30 კაცი უნდა დავითხოვოთო, ამასთან ორ-ორი კვირის ჯამაგირზე მეტს ვერ მივცემთო. მეორე დღეს მუშები შეიკრიბნენ და დაადგინეს, მოითხოვონ სამ-სამი თვის ჯამაგირი დათხოვნილებისათვის; თუ სტამბას შეძლება არა აქვს, ეს ფული ნაწილ-ნაწილ გადაიხადოს. ეს დადგენილება სტამბის გამგეობას წარუდგინეთ 12 მაისს. გამგეობას აზრად ჰქონდათ, დაეთხოვათ 30 მუშა 15 მაისს, მაგრამ როდესაც 14 მაისს მივედით, სტამბა დაკეტილი დაგვხვდა. ღია იყო კანტორა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მოვიდა გამგეობის წევრი ამირალოვი. დიდ-ხანს ილაპარაკა ამირალოვმა და ის აზრი გამოსთქვა, რომ თუ ნებას მომცემთ 30 კაცი დავითხოვო, სტამბას გავაღებ, თუ არა და უნდა სულ დავკეტოო. მუშები ორად გაიყვნენ. ერთი ნაწილი ამბობდა, გამოვიწვიოთ სტამბის გამგეები სამედიატორო სამართალშიო, მეორე—დავთანხმდეთ ამირალოვს, მხოლოდ შემდეგის პირობით: გახსნას ხელახლა სტამბა და დათხოვნილებს მიეცეთ: ვისაც ერთ წელიწადზე ნაკლები უმუშავნია—ორი კვირის ჯამაგირი, ვისაც ორი წლიდან სამამდე—ერთი თვისა და სხვა. ბოლოს მუშებმა მიიღეს ეს წინადადება და მოაწერეს კიდეც ხელი. პირობით, ვიდრე ეს დადგენილება არ ასრულდებოდა, დათხოვნილად არც ერთი მუშა არ უნდა ჩათვლილიყო და ყველას ჯამაგირი უნდა მიეღო. ეს დადგენილება მიიღეს სტამბის პატრონებმაც საერთო კრებაზე სარუხანიანცის სახლში. შემდეგ რა მოხდა, ამას აღარ გამოუდგები, ვიტყვით მხოლოდ, რომ სტამბა ისევ დაკეტილი იყო და ბოლოს მივიღეთ ჯამაგირი მხოლოდ 26 მაისამდის. არ ვიცით ახლა, რა იქნება შემდეგ და დაპირებულს როდის მივიღებთ.

**მუშა.**

---

**საბალოსნო სკოლის მუშები.** სკოლის მუშებს გამოუცხადეს, რომ 15 ივლისს სკოლა იკეტება და ერთი თვის ჯამაგირს მიიღებთო. ისიც უთხრეს, რომ სკოლას სახსარი არა აქვსო. შეიძლება სკოლა მართლაც უსახსრობით შევიწროვებული იყოს, მაგრამ მუშების დათხოვნა საქმეს არაფერს არ უშველის. ჩვენა ვფიქრობთ, რომ სკოლა სექტემბერში აუცილებლად გაიხსნება, მაშასადამე, სულ ერთ თვეს, აგვისტოში, არ იქნებიან მუშები. ამ ერთ თვეს მუშებს ერგებათ თოთხმეტი თუმანი. რა ეკონომია უნდა გასწიოს სკოლამ ამ თოთხმეტი თუმნით? ან იქნება მუშების მომხრობა უნდათ? მუშებმა კარგა ხანია თავიანთი მოთხოვნილებანი წარადგინეს, მაგრამ დღესაც არ აუსრულებიათ. არ შეგვიძლიან არ ავღნიშნოთ სამეურნეო საზოგადოების და, საზოგადოდ, იმათი უმოქმედება, ვის ხელშიაც ეს სკოლაა. მათ იმ სუბსიდიის აღებაც-კი ვერ მოახერხეს, რომელიც წინად ხაზინიდან ეძლეოდა და ეხლა მუშებზე ეწევიან ეკონომიას. უნდათ საზოგადო მოღვაწის სახელი ატარონ და საქმე კი არ გააკეთონ! მიიხედ-მოიხედონ, იქნებ აღმოჩნდეს სადმე ფული.

**ილხა.**

---

დობრიობის მიერ შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც არავითარი ორგანიული კავშირი არა აქვს მთელს ჩვენ ეროვნულ ცხოვრებასთან. დღეს საქართველოში არა თუ არ არსებობს პოლიტიკა, რომელიც, დე-გრეფის სიტყვით, ორგანიზატორია მთელ საზოგადოებრივ მოქმედებათა, არამედ არ არის ის პირველ ყოფილი პოლიტიკური ორგანოებიც, რომლიდანაც ბოლოს ვითარდება ასეთი რაციონალურ პოლიტიკის ორგანოები. ეს კიდევ არაფერი—დღეს ჩვენში არავითარი მისწრაფებაც არ არის საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზმის შექმნისა. ასეთ მისწრაფებას ჩვენში საზიზღარ მიმართულების სახელი—„ნაციონალიზმი" ჰქვია, თუმცა გასაკვირველი არ არის, რომ გადაშენებულ ადამიანებს გადაშენებულსა და გამქრალ საზოგადოებრივ ორგანოზედ გადაშენების მომასწავებელი აზრი ჰქონდეთ!

ასეთი ბედი ეწვია ჩვენში უურთულესსა, უუსპეციალესსა და უუმაღლეს ორგანოს საზოგადოებრივობისას. ეს კი, როგორცა ვსთქვით, დასაწყისია ყოველგვარ სოციალურ გადაშენებისა, რადგანაც ყველა ორგანიზმის გადაშენება იწყება ურთულეს და უსპეციალეს ორგანოებიდან და თავდება უმარტივესს და უფრო საზოგადო ორგანოებით.—ეს ერთი:—ჩვენ საზოგადოებას ერთი ასო მოაჭრეს.

**Bâton.**

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივნისი

**პეტერბურგი.** ირკუტსკის, ვოლოგდის, გროდნოს, პერმის, პოლტავის და რიაზანის გენერალ-გუბერნატორებმა გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი იმათ დასჯის შესახებ, ვინც მთავრობის მიმართ მტრობას და სიმულვილს დასთესს.

**პარიჟი.** 7 ივნისს სიამის მეფის პატივსაცემლად სადილი უნდა გაემართათ, მაგრამ მეღვინეთა ოლქებში მომხდარ ამბებისა გამო იგი გადასდეს. კლემანსომ უთხრა ერთ გაზეთის თანამშრომელს, შეპყრობილნი არიან მხოლოდ არეულიეს კომიტეტის წევრნი და ქალაქის თავი ფერრულიო. დეპუტატთა პალატაში სამხრეთ ამბები შეკითხვაზე კლემანსომ სთქვა საზოგადო შენობებს დავიცავ, სანამ ჩემ თანამდებობაზე ვიქმნებიო. ჯარს ნაბრძანები აქვს, იარაღი იხმაროს მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში. ნარბონნაში ჯარს რევოლვერების სროლით დახვდნენო.

**ნარბონნა.** 7 ივნისს მოვიდა კირასირთა პოლკი, რომელსაც სტვენით დაუხვდნენ. კირასირებმა ხმლები იშიშვლეს და ხალხს შეუტიეს. მანიფესტანტებმა კირასირების ცხენებს სკამები დაუშინეს და ბარიკადები გამართეს. კირასირებმა სროლა ასტეხეს, ხალხმაც სროლითვე უპასუხა. ერთი მანიფესტანტი მოჰკლეს. ქვეითა ჯარმა ხალხი გაჰფანტა. არეულობა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში მოხდა. დაიჭრა 20 კაცი. ჟანდარმებმა სროლა დაუწყეს იმ ხალხს, რომელიც პრეფექტურას შემოერტყა.

**ლიუსზონი.** 7 ივნისს კიდევ მოხდა არეულობა, რომელიც პოლიციამ ჩააქრო. ბევრი დააპატიმრეს.

**ათინა.** საღამოზე პალატაში დეპუტატთა სხდომის დროს ვიღაცამ დინამიტის პატრონა გადააგდო, პატრონა არ გასკდა. ბოროტ-განმზრახველი დააპატიმრეს.

**ნარბონნა.** 7 ივნისსს მერიის მოედანზე მანიფესტანტებმა პოლიციის აგენტს რამდენჯერმე ესროლეს და შემდეგ წყალში ჩააგდეს. როცა იგი წყლიდან ამოიყვანეს და საპოლიციო ნაწილში მიიყვანეს, მანიფესტანტები საპოლიციო ნაწილს დაეცნენ. ჯარი გამოიწვიეს. მანიფესტანტებმა სროლა ასტეხეს. ჯარმა სროლითვე უპასუხა.

როგორც სუპრეფექტურიდან იუწყებიან, ერთი დღის განმავლობაში მოუკლავთ ოთხი კაცი და დაუჭრიათ 11. დაჭრილებს შორის ერთი 20 წლის ქალია. რამდენსამე პოლიციის აგენტს ძლიერ სცემეს; იმათ თავს გაქცევით უშველეს. მერიის შენობაზე წითელი ბაირაღი ააფრიალეს. საღამოზე მანიფესტანტებმა პოლიციის კომისარი დააპატიმრეს და მძევლად ჰყავდათ. ქუჩაში მოძრაობა ნება დართულია მხოლოდ იმათთვის, ვინც შინ ბრუნდება. ალჟერიეში მისვლა აკრძალულია.

**მონპელიე.** მოხდა მანიფესტაცია, რომელშიაც თითქმის მთელმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. მანიფესტაცია საღამომდი გაგრძელდა და დიდი შეტაკებაც მოხდა მანიფესტანტებსა და ჯარს შორის. მანიფესტანტებმა ჯარს სროლა აუტეხეს. ორსავე მხარეს არიან მსუბუქად დაჭრილნი. 9 საათზე მანიფესტანტები მრავლად ბაზარს ეკვეთნენ და საქონლის დატაცება დაიწყეს, მაგრამ ჯარის მიერ უკუგდებულ იქმნენ. ისროლეს რევოლვერები, რამაც ხალხი ძლიერ დააფრთხო და უგზოუკვლოდ დაფანტა. ბევრი დააპატიმრეს, მსუბუქად დაიჭრა პოლიციელი, ცხენიდან ჩამოაგდეს ერთი დრაგუნი. ღამე წესრიგი აღადგინეს. ქუჩებში პატრულები დადიან.

**მაკონი.** დააპატიმრეს რამდენიმე რუსი ანარქისტი.

**ბეზიე.** 7 ივნისს ხალხმა ყავახანეები დააკეტვინა და სამგლოვიარე ბაირაღები გამოაფენინა არეულობის დროს დაღუპულთა პატივ საცემლად.

**პეტერბურგი.** თავისს სახლში მოჰკლეს ბარონი ბუკსგევდენი. მკვლელი სულით ავადმყოფია. მოკლულის ვაჟი დააპატიმრეს.

**პერპინიანი.** 7 ივნისს აღელვებული მანიფესტანტები მთელ საღამოს პრეფექტურის წინ ირეოდნენ. მთავრობის საწინააღმდეგო დამახზებას ტაშის ცემით ეგებებოდნენ. მანიფესტანტები დაეცნენ პოლიციის უფროსს კომისარს, იმულებული ჰყვეს სასტუმროში გაქცეულიყო. რამდენისამე ხნის შემდეგ იმავ სასტუმროში მინები ჩაამტვრიეს და ელექტრონის ლამპები დალეწეს. 10 საათზე მანიფესტანტებმა, რამდენისამე ამაო იერიშის შემდეგ, პრეფექტურის კარები შეამტვრიეს და სარაიებს და ეტლებს ცეცხლი წაუკიდეს. მანიფესტანტები პრეფექტს სახლში შეუვარდნენ, მოიტაცეს მისი ხმალი და ყოველივე ოჯახის მოწყობილება ცეცხლში გადაყარეს. პრეფექტი ოჯახობითურთ და აგრეთვე ცეცხლის ჩამქრობი რაზმი იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ. პრეფექტურის სადგომი ცეცხლის ალში გაეხვია. ჟანდარმებმა ბოლოს, როგორც იყო, შესძლეს მანიფესტანტების უკან დაწევა, რადგან თან და თან მანიფესტანტთა რიცხვმაც იკლო.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატაში კლემანსომ თავისი სიტყვა ამნაირად დააბოლოვა: ხვალ მოგახსენებთ ყველაფერს, რაც ვიცი, დღეს მხოლოდ აღვნიშნავ, რომ მთავრობა მოქმედებდა თანახმად საფრანგეთისა და რესპუბლიკის ინტერესებისა... (გამოტოვებულია) დეე, რესპუბლიკებმა მსჯავრი დამდონ მე, როგორც რესპუბლიკელსაო. კლემანსოს სიტყვის შემდეგ პალატამ დაადგინა, საკითხის განხილვა 8 ივნისისთვის გადაიდოს.

**კრასნოიარსკი.** ღამე შეიარაღებული კაცები ჰაუპტვახტას დაეცნენ. უნდოდათ ტუსაღების განთავისუფლება. სროლის დროს მოკლულ იქნა ყარაულის უფროსი და ორი თავდამსხმელი. ტუსაღების ერთი ნაწილი განათავისუფლეს.

**ოდესსა.** 7 ივნისს საღამოზე სტაროპორტფრანკოვსკაია—სტაროფრანკოვის ქუჩაზე ყუმბარა გადააგდეს. საქმე ასე იყო. სამი უცნობი ერთ ახალგაზრდა კაცს მისდევდა. ერთმა გაქცეულს რევოლვერი ესროლა, მაგრამ ააცდინა, მაშინ უცნობებმა ყუმბარა გადააგდეს, რომელიც საშინელის ხმით აფეთქდა. მთელ უბნის ფანჯრებში ერთი მთელი მინა არ დარჩენილა. დაიჭრა 15 კაცი; უმეტესობა მცირე წლოვანია. ყველანი, ერთი ქალის გარდა, მსუბუქად არიან დაჭრილნი,

8 ივნისს ქილით განცბურგის კერძო სასწავლებელში ყუმბარა აფეთქდა, რომელიც თაროზე ყოფილიყო დადებული. სახლი ძლიერ დაზიანდა. კაცთაგან არავინ დაშავებულა, რადგან შიგ არავინ არ იყო.

**პარიჟი.** კლემანსოს მთელი დღე თათბირი ჰქონდა შინაგ ნ საქმეთა სამინისტროში ტომსონსა, ვივიანსა, დუმერსა, პიშონსა და სხვებთან. ოპოზიციონური, ზომიერ რესპუბლიკანური და სოციალისტური გაზეთები სამხრეთ საფრანგეთში არეულობის მიზეზად მთავრობის დაუდევრობა მიაჩნიათ და ამიტომ კაბინეტის გადადგომას თხოულობენ. რადიკალური გაზეთები, რომელნიც მთავრობას უჭერენ მხარს, იწვევენ რესპუბლიკელებს გაჭირვების წამს არ უღალატონ მთავრობას. ხმა გავრცელდა, რომ რეაქციონერებმა არეულობის ასატეხად დიდი ფული გაიღესო. ფულის ერთი ნაწილი საზღვარ-გარეთიდან არის გამოგზავნილიო. პარიზის პრესსის სინდიკატი ხელ-და-ხელ შეიკრიბა მთავრობის მიერ სამხრეთიდან გამოგზავნილ დეპეშებზე ცენზურის დადების საკითხის განსახილველად.

9 საათზე მიღებულ ცნობით ნარბონასა და მონპელიეში შედარებით მშვიდობიანობაა.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**

---

## ღია პასუხი თავად გრიგოლ დიასამიძეს

თქვენ კერძო საქმეებზე გადადიხართ და პიროვნების შეხებით აპირებთ თავის გამართლებას. ვერაა ეს კარგი საშუალება. თქვენი ღია წერილის აზრი ორჭოფია: თუ სამართალში გამოდიხართ, ძალმომრეობის უფლების დატოვება რისღა მაქნისია? სამართალმა უნდა გადასწყვიტოს ჩვენ შორის ჩამოვარდნილი დავა და არა კეტმა. ეს დავა კერძო ინტერესის საქმე არაა და ნუ ერევით. თუ რომ ეს ასე არა გნებავთ, ბარემ ახლავე უარ-ყავით საამხანაგო სამართალი. თუ გნებავთ, მხოლოდ სამართალზე შევაგდოთ ჩვენი დავა, მაცნობეთ კერძო წერილით, დავნიშნავ ჩემს მედიატორეებს და კერძო წერილითვე გაცნობებთ. ამასთანავე გთხოვთ, რომ „სპერანზა" და „მონა" არ დანიშნოთ მედიატორეებად, ვინაიდან მათ ადრე აღებული აზრი აქვთ ჩემს შესახებ.

პატივისცემით **სევასტი გაჩეჩილაძე**


# განცხადებანი

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

## კეფირი
## ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ, ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—26) პატივ. **ო. კორონა.**

---

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

უოველ დღე, კვირების გარდა.

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ც. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—91)

---



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—27)

---

ტფილისის კბილის საექიმო

## სკოლა
## ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი 2½ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—13)

---



# ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ.

ნაღდად შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი"

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—32)